ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 30-67

"22" სექტემბერი 2023 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისშესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი 29/12/2022, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.101.017057) და დადგენილების პირველი მუხლის „ზ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების და კვლევების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი"(დანართი №7) მე-4 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მოსარგებლეებს, მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა მედიკამენტი უფინანსდებათ სრულად, თანაგადახდის გარეშე, ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნტით დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით. ასევე, ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მოსარგებლეებს კვლევები უფინანსდებათ სრულად, ამ წესის მე-9 მუხლის მეორე პუნქტის „დ" ქვეპუნტით დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით.";

ბ) მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნას.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 ოქტომბრიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე